სს საქართველოს ბანკი	GEL	10-Dec-24	04-Dec-25		რეფინანსირების განაკვეთს + 4.5% (მაგრამ არანაკლებ 12.50%-ისა)	1,210,822	-
სს საქართველოს ბანკი	USD	18-Jan-24	22-Apr-30		წლიური 6 თვიან Term SOFR განაკვეთს დამატებული 5.50% (მაგრამ არანაკლებ 10%-ისა)	1,194,131	-
სს საქართველოს ბანკი	GEL	27-Jun-23	27-Jun-28		რეფ განაკვეთს + 4.25% (არანაკლებ 12.50%-ისა)	1,147,639	1,395,298
სს საქართველოს ბანკი	GEL	01-Dec-22	01-Dec-27		რეფ განაკვეთს + 4.25% (არანაკლებ 12.50%-ისა)	893,378	1,119,020
სს საქართველოს ბანკი	USD	29-Mar-24	30-Mar-26		6 თვიან Term SOFR განაკვეთს დამატებული 5.50% (არანაკლებ 10%-ისა)	547,641	-
სს საქართველოს ბანკი	GEL	03-May-23	03-May-28		რეფ განაკვეთს + 4.25% (არანაკლებ 12.50%-ისა)	379,926	460,508
სს საქართველოს ბანკი	GEL	30-Dec-22	13-Dec-27		რეფ განაკვეთს + 4.25% (არანაკლებ 12.50%-ისა)	88,053	109,762
სს საქართველოს ბანკი	GEL	12-Jan-23	13-Feb-23	11-Jan-24	რეფ განაკვეთს + 2.75% (არანაკლებ 13%-ისა)	-	2,073,207
სს საქართველოს ბანკი	GEL	25-Jan-23	11-Jan-24		რეფ განაკვეთს + 3% (არანაკლებ 14%-ისა)	-	1,002,137
სს საქართველოს ბანკი	EUR	06-Jun-22	18-Jan-24		6 თვიან EUORIBOR განაკვეთს დამატებული 6.75% (არანაკლებ 6.75%-ისა)	-	2,100,613
სს საქართველოს ბანკი	USD	21-Apr-23	18-Jan-24		6 თვიან Term SOFR განაკვეთს დამატებული 7% (არანაკლებ 8%-ისა)	-	1,275,833
შპს ციტადელი	GEL	18-May-23	18-Nov-24	31-Dec-25	14%	1,221,929	1,081,545
შპს ციტადელი	GEL	16-Sep-22	16-Mar-23	31-Dec-25	14%	710,751	633,540
შპს ციტადელი	GEL	05-Sep-22	05-Mar-24	31-Dec-25	14%	710,751	633,540
შპს ციტადელი	GEL	06-Oct-22	06-Apr-24	06-Oct-25	14%	50,823	287,974
შპს ციტადელი	GEL	03-Feb-23	03-Aug-24	03-Feb-25	14%	27,108	169,399
შპს ციტადელი	GEL	18-Oct-22	18-Apr-23	18-Oct-25	14%	10,164	57,595
შპს ციტადელი	GEL	05-Jan-23	05-Jul-23	05-Jan-25	14%	7,595	45,539
შპს ციტადელი	GEL	20-Oct-22	20-Apr-24	20-Oct-25	14%	6,099	34,557
შპს ციტადელი	GEL	18-Jan-23	18-Jul-24	18-Jan-25	14%	4,622	28,337

შპს პალატი 2022

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. მიღებული სესხები (გაგრძელება)

შპს ციტადელი	GEL	28-Nov-22	28-May-23	28-Nov-25	14%	4,066	23,038
შპს ციტადელი	GEL	29-Nov-22	29-May-24	29-Nov-25	14%	3,049	17,278
შპს ციტადელი	GEL	21-Oct-22	21-Apr-23	21-Oct-25	14%	2,033	11,519
ტარიელ ცუცქირიძე	GEL	27-May-22	27-May-25		0%	2,426,377	2,235,317
						20,924,844	16,559,145
სესხის ძირი						19,548,434	15,809,622
გადასახდელი პროცენტი						1,376,410	749,523
გრძელვადიანი სესხები						31/12/2024	31/12/2023
მიღებული სესხები							
სს საქართველოს ბანკი						5,965,019	6,357,532
შპს ციტადელი						-	1,215,000
ფიზიკური პირები						-	2,235,317
სულ გრძელვადიანი სესხის წილი						5,965,019	9,807,849
მოკლევადიანი სესხები						31/12/2024	31/12/2023
მიღებული სესხები							
სს საქართველოს ბანკი						9,774,458	4,942,437
შპს ციტადელი						2,758,990	1,808,859
ფიზიკური პირები						2,426,377	-
სულ მოკლევადიანი სესხის წილი						14,959,825	6,751,296
სულ მიღებული სესხები						20,924,844	16,559,145

შპს პალატი 2022

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. მიღებული სესხები (გაგრძელება)

სესხების მოძრაობა	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	16,559,145	8,755,620
ძირის გადახდა	(25,073,076)	(2,758,466)
სესხის აღება	28,761,082	9,857,510
პროცენტის გადახდა	(1,465,217)	(1,070,956)
საპროცენტო ხარჯი	2,242,329	1,876,476
სუბსიდია - პროცენტის თანადაფინანსება	(150,227)	(200,728)
საკურსო სხვაობის ეფექტი	50,808	99,689
31 დეკემბრის მდგომარეობით	20,924,844	16,559,145

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ცხილებში:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	მიღებული სესხები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
შპს ჯეოტექნიკსი	-	67,499
შპს ადლი	-	-
შპს ვეგა გრუპი	-	44,371
LLC Citadeli (Armenia)	-	1,579,614
შპს ციტადელი	2,758,990	-
ტარიელ ცუცქირიძე	2,426,377	4,000

სრული შემოსავლის ანგარიშგება	მიწოდები ს ხარჯები	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა	ფინანსური ხარჯი	შემენილი ძირითადი საშუალებების ტრანსპორტირების ხარჯი
შპს ჯეოტექნიკსი	(585,674)	-	-	-	-
შპს ადლი	-	-	-	-	-
შპს ვეგა გრუპი	(480,144)	-	2,522	-	(243,547)
LLC Citadeli (Armenia)	-	-	283,308	-	-
შპს ციტადელი	(271)	(31,492)	-	(325,129)	-
ტარიელ ცუცქირიძე	-	-	-	(308,944)	-

სრული შემოსავლის ანგარიშგება	შემენილი მარაგების ტრანსპორტირების ხარჯი	მარაგების შეძენა	შემოსავალი
შპს ადლი	-	(526,635)	-
შპს ვეგა გრუპი	(6,800,954)	-	-

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	მიღებული სესხები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
შპს ჯეოტექნიკი	-	22,862
შპს ადლი	-	223,012
შპს ვეგა გრუპი	-	34,008
LLC Citadeli (Armenia)	-	1,862,777
შპს ციტადელი	3,023,859	-
ტარიელ ცუცქირიძე	2,235,317	-

სრული შემოსავლის ანგარიშგება	მიწოდების ხარჯები	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	საკუროსო სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა	ფინანსური ხარჯი	შემოსავალი
შპს ჯეოტექნიკი	(95,998)	(278,060)	-	-	-
შპს ადლი	-	(224)	-	-	-
შპს ვეგა გრუპი	(214,207)	-	1,388	-	-
LLC Citadeli (Armenia)	-	-	396,703	-	-
შპს ციტადელი	(831)	(17,410)	-	(316,321)	144,614
ტარიელ ცუცქირიძე	-	-	-	(266,840)	-

უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ 2023 წელს შეადგინა 106,759 ლარი (2022: 62,503 ლარი).

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 10 ივლისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

- კომპანიამ 2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში აიღო 12,660,000 ლარის სესხი და დაფარა 12,459,735 ლარის სესხის ვალდებულება

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომლებიც მოითხოვს აღნიშვნას განმარტებით შენიშვნებში.

20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდზე, თუ სხვა რამ არაა მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს, მათ შორის კაპიტალის ინსტრუმენტებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები:

	USD	EUR
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკან დაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციას საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლების საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისა და დაქირავებით მომუშავეთაგან.

საოპერაციო იჯარა

როდესაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს ისეთ საიჯარო ხელშეკრულებებში, რომლის დროსაც კომპანიას არ გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველანაირი რისკი და სარგებელი, იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში იჯარის მთლიან ვადაზე, დარიცხვის წრფივი მეთოდით. საიჯარო ვადა წარმოადგენს იმ არაგაუქმებად პერიოდს, რომლისთვისაც გაფორმებულია ხელშეკრულება იმ პერიოდთან ერთად რომლისთვისაც მოიჯარეს აქვს უფლება გააგრძელოს აქტივის იჯარა დამატებითი გადასახადებით ან მათ გარეშე იმ შემთხვევაში, რომ ხელშეკრულების დადებისას მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას. კომპანიას არ აქვს შეუქცევადი იჯარები.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს რომლებიც არ იბეგრება, ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებასთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა. შესაბამისი ვალდებულება აღიარებულია ანარიცხებში.

შემდგომი დანახარჯები ჩაითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა აღნიშნული ხარჯის გაწევა.

აქტივის ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ მაშინ, როდესაც ის იმყოფება იმ ადგილას და ისეთ პირობებში, რომელიც აუცილებელია მისი გამოყენებისთვის იმ სახით, როგორც ხელმძღვანელობას ჰქონდა განზრახული. ცვეთა არ წყდება აქტივის მწყობრიდან გამოსვლის ან არ გამოყენების შემთხვევაში, მანამ, სანამ იგი სრულად არ იქნება ამორტიზებული. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)	
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	7-10
ოფისის აღჭურვილობა	5-7
მიწა	არ იცვითება
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში, რათა შეფასდეს საბალანსო ღირებულება აღემატება თუ არა შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის

გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და ჩაირთვება საოპერაციო ხარჯებში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემენის, გადამამუშავების და სხვა დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებებით. მარაგი შემდგომ ფასდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულების და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯები.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვის შექმნის საჭიროება წარმოიშვება მაშინ როდესაც ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ამ თანხების სრულად მიღებას თავდაპირველი გადახდის პიოების მიხედვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა, კაპიტალში კონტრიბუციისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები

ანარიცხის აღიარება ხდება, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის ოდენობას წარმოადგენს იმ თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, რომელიც განისაზღვრება დაბეგვრამდე განაკვეთით და ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებს. ანარიცხის ზრდა დროის პერიოდის გასვლის გამო აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ანარიცხის აღიარება არ ხდება სამომავლო საოპერაციო ზარალებისთვის.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას.

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;
- ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა.
- ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.
- ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- პირი, ნახსენები (ა) (i) პუნქტში, ფლობს მნიშვნელოვან ხმის მიცემის უფლებას
- პირს, ნახსენები (ა) (ii) პუნქტში, აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა
- პირი, რომელსაც გააჩნია ორივე, როგორც მნიშვნელოვანი ხმის მიცემის უფლება, ასევე კონტროლის.
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრს აქვს კონტროლი ამ საწარმოზე.

შპს „პალატი 2022“

მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს კომპანია „პალატი“-ს საქმიანობას, მომსახურების სტანდარტებს, მიღწევებსა და სამომავლო მიზნებს. ამასთან ერთად წარმოდგენილია ის რისკები და შემაფერხებელი გარემოებები, რომლებსაც კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობა.

ზოგადი მიმოხილვა

ანგარიშის მიზანია მოგაწოდოთ როგორც ზოგადი ინფორმაცია კომპანია პალატის საქმიანობის, ასევე კომპანიის ზრდისა და დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ჩვენი რესურსები მიმართულია მაღალი ხარისხის ნედლეულის მოძიებასა და უცხოურ ბაზარზე ჩვენს მიერ ნაწარმოები, მაღალი ხარისხის პროდუქციის წარდგენა-რეალიზაციაზე.

პალატის გუნდის ძირითადი ამოცანაა აწარმოოს ხარისხიანი პროდუქცია, ასევე გაზარდოს ყოველთვიურად წარმოებული პროდუქციის მოცულობა და შეძლოს გასაღების ბაზრის გაფართოება, მომხმარებლებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და სანდოობის მოპოვებით.

კომპანიის შესახებ

კომპანია „პალატი“ წარმოადგენს ფანერის პირველ წარმოებას საქართველოში, რომელიც ქართულ ბაზარზე 2022 წლიდან ოპერირებს და დღევანდელ დღეს იკავებს ექსპორტიორი კომპანიათა შორის ერთ-ერთი ლიდერის პოზიციას. კომპანიის მიღწევები განპირობებულია ბიზნესის გრძელვადიანი, სტრატეგიული მართვითა და კომპეტენტური გუნდით, რომელიც წლიდან წლამდე პალატთან ერთად იზრდება და ვითარდება.

გლობალური ტენდენციებისა და ჩვენი მომხმარებლების მოთხოვნის საპასუხოდ, კომპანია პერმანენტულად ზრდის სარეალიზაციო პროდუქციის მოცულობას, ასევე ორიენტირებულია ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვაზე. ამ ეტაპზე, ჩვენს პარტნიორებს ვთავაზობთ 115 სახეობის ფანერას.

ქრონოლოგიურად რომ განვიხილოთ, კომპანიამ აქტიური განვითარება 2023 წლიდან დაიწყო და მოკლე პერიოდში შეძლო მყარ, სტაბილურ კომპანიად ჩამოყალიბება რომელიც ასაქმებს 300-მდე თანამშრომელს, ორიენტირებულია განვითარებასა და წინსვლაზე, რაც გამოიხატება როგორც წარმოების მოცულობის ზრდით, ასევე ტექნოლოგიური გადაიარაღებით, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებით, თანამშრომელთათვის ჯანსაღი, უსაფრთხო, განვითარებადი სამუშაო გარემოს შექმნით.

კომპანიის მიზანია საერთაშორისო ბაზარზე გააფართოვოს მომხმარებელთა რიცხვი, შეინარჩუნოს ლოიალობა მათთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობისა და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ბაზაზე. კომპანიის უპირველესი მიზანია აწარმოოს ხარისხიანი პროდუქცია.

რაც შეეხება პალატს, როგორც აქტიურ დამსაქმებელს, კომპანიის დასაქმებულთა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო კონკურენტუნარიანია, დასაქმებულებს ერიცხებათ ყოველთვიური დანამატი, რაც მათი სტაჟის მიხედვით განისაზღვრება. განსაზღვრულია ინდიკატორები, რომლის მიხედვითაც მოხდება თანამშრომელთა წახალისება (KPI) ინერგება გარკვეული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითა კომპანიაში თანამშრომელთა პროფესიული კომპეტენციის გასაუმჯობესებლად და სხვა უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად ტრენინგები და მასტერკლასები პერმანენტულად ჩატარდება.

კომპანია „პალატი“ 2023 წლის განმავლობაში, საშუალოდ თვეში დასაქმებული იყო 208 თანამშრომელი, ხოლო ეს მაჩვენებელი 2024 წლის მონაცემებით შეადგენდა თვეში საშუალოდ 301 თანამშრომელს.

2024 წლიდან კომპანია პალატი საერთაშორისო გამოფენებში აქტიურად მონაწილეობს, რაც იძლევა შესაძლებლობას გაიზარდოს წარმოებული პროდუქციის ცნობადობა, მოხდეს ახალი მომხმარებლების მოზიდვა.

შპს „პალატი 2022“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

კომპანიის საქმიანობა

შპს „პალატი 2022“-ის საქმიანობა ძირითადად მოიცავს ფანერის წარმოებას. პროდუქციის ასორტიმენტი მრავალფეროვანია, გაწარმოებთ 115 სახეობის ფანერას. ფანერის სახეობებს შორის განმასხვავებელი კრიტერიუმები შემდეგია: ზედაპირის ხარისხი, სისქე, ფორმატი (გრძივი და განივი) და ზომა.

პალატის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული თითოეული პროდუქტი სამშენებლო სფეროში დადგენილი და მოქმედი სტანდარტების შესაბამისი და საერთაშორისო სერტიფიკატის მქონეა. კომპანია ყოველთვის იზიარებს უცხოელი პარტნიორების გამოცდილებას და ტექნოლოგიებს, რასაც შემდგომ წერგავს წარმოებაში. როგორც აღინიშნა, კომპანია „პალატი“ ყოველთვის ორიენტირებულია ახალი, ხარისხიანი ნედლეულისა და ტექნოლოგიების მოძიებასა და დანერგვაზე, რაც უზრუნველყოფს დროისა და ხარჯების ოპტიმიზაციას.

გაყიდვების ჯგუფები

კომპანია პალატის გაყიდვები ორიენტირებულია ექსპორტზე. დღეის მდგომარეობით ჩვენი კომპანია, ყოველთვიურად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას ახდენს მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში. ამ ქვეყნებიდან 70% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე და დანარჩენ ქვეყანათა შორის ლიდერობს ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა. მომსახურება გათვლილია იურიდიულ პირებზე. კომპანიის მთლიანი მომხმარებელთა სია დღეის მდგომარეობით 30-მდე კონტრაქტორ კომპანიას აერთიანებს.

თითოეულ მომხმარებელს პალატის გაყიდვების კვალიფიციური გუნდი ემსახურება. პერსონალი უზრუნველყოფს მომხმარებელთათვის პროფესიონალური კონსულტაციების გაწევას და მათ მოთხოვნებზე მორგებული პროდუქციის შეთავაზებას.

პალატის თანამშრომლების გადამზადება პერმანენტულად ხორციელდება, რაც მათ კვალიფიკაციის დონეს განსაზღვრავს. მასტერკლასებს ადგილობრივი და უცხოური პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლები უძღვებიან.

კომპანიის სანდოობის ხარისხისა და კვალიფიციური კადრების დამსახურებით, პალატის მომხმარებელთა სია დღითიდღე იზრდება, მათ რიგებში არიან ისეთი დიდი კომპანიები, როგორებიცაა:

- ჩეხეთი (ORLIMEX CZ, S.R.O.)
- ესტონეთი (Greenfield trading OU)
- ესტონეთი (Trinity Wood)
- ლიტვა (SIA DABO TRADE)
- აშშ (Hardwoods Specialty Product US LP)
- პოლონეთი (SKLEJKA TRADE W. GROMEK I. GROMEK)
- აშშ (UNIPLY LLC)
- ჩეხეთი (PLYGROUP, S.R.O.)
- იტალია (CASTELLANA LEGNAMI SNC)
- ესტონეთი (ALFAFORT OU)
- თურქეთი (BABA YAPI SANAYI VE TICARET ANONI)
- ლიტვა (UAB Pro ligno)
- უნგრეთი (PANNON FALAP-LEMEZ kereskedelmi Kft)
- იტალია (I.C.M. INDUSTRIA COMPENSATI MOGLIA)
- აშშ (CRYSTAL ELEMENT INC)
- საბერძნეთი (MAGKOUTAS ATHANASIOS)
- აშშ (FRANK PAXTON LUMBER CO.,LLC)
- პოლონეთი (ASTROPLEX SPOLKA Z OGRANICZONA ODPO)
- პოლონეთი (LUCYNA BARGANSKA KORNIX FIRMA PHU L)
- ნიდერლანდები (BEIJLEVELD HOUTIMPORT B.V.)

შპს „პალატი 2022“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

შესყიდვების ჯგუფი

პალატის გრძელვადიანი ხედვა ეფუძნება პარტნიორებისთვის ნდობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, რისთვისაც გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მომწოდებლების პორტფელის დივერსიფიკაციას. შესაბამისად, აქტიურად ვთანამშრომლობთ 10-მდე უცხოელ მომწოდებელთან . მაგალითად:

პროდუქტების იმპორტი ხდება:

- ესტონეთი (Trinity Wood),
- ლატვია (Baltic birch wave)
- ბრაზილია (Ouro Grandys Florestal)
- ბრაზილია (Industria de compensados Regerit)
- ბრაზილია (Tesda Corporation)
- რუსეთი (NLK)
- რუსეთი (Fanprom),

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის 2024 და 2023 წლების ფინანსური მონაცემები:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2024	2023
შემოსავალი	65,290,365	29,823,339
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(47,035,631)	(21,470,540)
საერთო მოგება	18,254,734	8,352,799
მიწოდების ხარჯები	(3,574,554)	(3,293,820)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,677,872)	(4,785,065)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)	8,002,308	273,914
ფინანსური ხარჯი	(2,092,102)	(1,675,748)
საკუთრსო სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა	(56,916)	494,383
არასაოპერაციო შემოსავალი	31,533	-
არასაოპერაციო ხარჯი	(103,865)	(234,189)
ზარალი დაბეგვრამდე	5,780,958	(1,141,640)
მოგების გადასახადი	-	-
წლის წმინდა ზარალი	5,780,958	(1,141,640)
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული ზარალი	5,780,958	(1,141,640)

შპს „პალატი 2022“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	17,170,273	14,442,580
არამატერიალური აქტივები	483	483
სულ გრძელვადიანი აქტივები	17,170,756	14,443,063
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	10,329,482	6,416,075
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,869,362	1,470,213
საგადასახადო აქტივი	1,379,860	1,474,408
ფული და ფულის ეკვივალენტები	29,710	539,911
სულ მოკლევადიანი აქტივები	14,608,414	9,900,607
სულ აქტივები	31,779,170	24,343,670
კაპიტალი		
კაპიტალი	756,277	808,393
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	3,638,878	-2,142,080
სულ კაპიტალი	4,395,155	-1,333,687
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი მიღებული სესხები	5,965,019	9,807,849
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	5,965,019	9,807,849
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი მიღებული სესხები	14,959,825	6,751,296
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,459,171	9,118,212
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	21,418,996	15,869,508
სულ ვალდებულებები	27,384,015	25,677,357
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	31,779,170	24,343,670

საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი (მიმდინარე კოეფიციენტი) – ფინანსური მაჩვენებელი, რომელიც ზომავს კომპანიის შესაძლებლობას, დაფაროს მოკლევადიანი ვალდებულებები. იგი გამოითვლება მიმდინარე აქტივების ფარდობით მოკლევადიან ვალდებულებებთან. თუ კოეფიციენტი ნაკლებია 1-ზე, ეს ნიშნავს, რომ კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს, რომლებიც, სავარაუდოდ, მომავალში ფულად სახსრებად გადაიქცევა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენ 68%, ხოლო 2023 წლის ბოლოს 62%.

მარაგების ბრუნვა დღეებში - მარაგების ბრუნვა, წარმოადგენს ეფექტურობის კოეფიციენტების ჯგუფს და გვიჩვენებს თუ რამდენ დღეში ერთხელ შეუძლია კომპანიას მარაგი აბრუნოს. კომპანიამ პროდუქციის რეალიზაცია დაიწყო 2023 წელს, და აქედან გამომდინარე საშუალოდ მარაგის ბრუნვის სიჩქარე 2024 წელს გაიზარდა, რაც აისახა მარაგების გაჩერების დღეების შემცირებაში. 2024 წელს მარაგების ბრუნვა დღეებში წარმოადგენს 65 დღე, ხოლო 2023 წელს წარმოადგენს 109 დღე.

დებიტორული დავალიანების ბრუნვა დღეებში - მარაგების ბრუნვის კოეფიციენტის მსგავსად, დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტიც მენეჯმენტის ეფექტურობის საზომია. 2023 წელს 18 დღე და 2022 წელს 127 დღე. 2023 წელს დებიტორული დავალიანების ბრუნვა დღეებში წარმოადგენს 12 დღე, ხოლო 2023 წელს წარმოადგენს 11 დღე.

კომპანიის კონკურენტული მდგომარეობა

კონკურენტული ბაზარი ხასიათდება ბევრი მყიდველით და გამყიდველით, სადაც არც ერთ მათგანს არ შესწევს უნარი არსებითად მოახდინოს გავლენა ფასზე. კონკურენტულ ბაზარზე სუბიექტის შესვლა და გასვლა თავისუფალია, რის გამოც, ყოველწლიურად ბაზარზე ჩნდებიან ახალი მოთამაშეები და გადიან ზოგიერთი არსებული ფირმები. პალატი მონიტორინგს ახორციელებს განგრძობითად, მთელი წლის მანძილზე. ამდენად, განსაზღვრული გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად ვგეგმავთ ნაბიჯებს, თუ როგორ გავზარდოთ ჩვენი წილი თითოეული მიმართულებით. ეს შეიძლება მოხდეს როგორც საფასო პოლიტიკის ცვლილებით, ასევე მყიდველისთვის დამატებითი სავაჭრო ლიმიტების დადგენითა და გასაყიდი საქონლის/მომსახურების გამწვანებულფეროვნებით.

არაფინანსური მაჩვენებლები

ჩვენი გუნდი

დღეის მდგომარეობით კომპანია პალატში 300-მდე მუდმივი დასაქმებულია. კომპანიისთვის მთავრი გამოწვევა და პრიორიტეტია თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებული სამუშაო გარემოს შექმნა. კომპანია ზრუნავს გუნდის წევრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მათთვის სხვადასხვა შინაარსის ტრენინგებს აორგანიზებს. ასევე, იგეგმება კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაფინანსება.

ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე კომპანიაში მუშაობს შესაბამისი სამსახური, რომლის მთავარი პრიორიტეტია დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების დაცვა.

თავის მხრივ კომპანია ითხოვს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვას, შრომის შინაგანაწესის დაცვას, საქმისადმი კეთილსინდისიერ და პატიოსან დამოკიდებულებას.

კომპანიაში არსებული სამუშაო გარემო

კომპანია დაარსების დღიდან ორიენტირებულია ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნაზე. თანამშრომელთა მატებასთან ერთად ფართოვდება კომპანიის სამუშაო სივრცე. ჩვენი გუნდის წევრები უზრუნველყოფილი არიან მათთვის საჭირო ინვენტარითა და სამუშაოს შესრულებისთვის აუცილებელი ტექნიკით.

კომპანიამ გამართა კორპორატიული ღონისძიება, (რასაც ყოველწლიური სახე მიეცემა), რაც დადებითად აისახება მუშაობის ხარისხსა და კომპანიის მიმართ ლოიალობის მატებაზე კომპანიაში გარკვეული პერიოდულობით ტარდება თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა, მიღებული შედეგების ანალიზის მიხედვით ფორმირდება სამოქმედო გეგმა და ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები.

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ძირითადი მიზეზი პირადი განცხადებებია, ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში ინფორმაციის ან განაცხადის მიღებისთანავე ადამიანური რესურსების მართვის სამსახური მუშაობს დასაქმებულის სამსახურიდან წასვლის მიზეზების იდენტიფიცირებაზე, ატარებს ერთიერთზე შეხვედრას და ახდენს შესაბამისი რეაგირებას. კომპანიას დაარსების დღიდან არ ჰქონია შრომითი დავის არცერთი შემთხვევა.

კომპანიაში სრულად არის დაცული ადამიანის უფლებები, არ არის შეზღუდული გამოხატვის თავისუფლება. ყველა დასაქმებული თანასწორია და აქვს თანაბარი განვითარების შესაძლებლობა, როგორც პროფესიული, ისე კარიერული თვალსაზრისით. კომპანიის არსებობის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია დისკრიმინაციის არცერთ შემთხვევას. თანასწორი დამოკიდებულებებია გენდერული ნიშნით, საკვანძო თანამდებობებზეც დაცულია გენდერული თანასწორობა.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისთანავე კომპანია უზრუნველყოფს დასაქმებულს, ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტით. უზრუნველყოფს შესაბამისი სტანდარტებით შრომის უსაფრთხოების დაცვას, აწესებს შემცირებულ და შეცვლილ სამუშაო გრაფიკს ასეთის საჭიროების შემთხვევაში. შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დასაქმებულს აცნობს შრომის უსაფრთხოების წესებს, დასაქმებულის მიერ გამოსაყენებელი ტექნიკის ექსპლუატაციის წესებს, უზრუნველყოფს თანამშრომელს შესაბამისი სპეციალური ინვენტარით, ინდ. დაცვის საშუალებებით. (მაგ. სპეც. ტანსაცმლით, სპეც. ფეხსაცმლით, ჩაფხუტებით, და ა.შ.) აწვდის ინფორმაციას დასაქმებულს პროფესიული რისკისა და მისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ. ორსული და მეძუძური დედები სარგებლობენ სამუშაო საათების შედავათებით, დასაქმებულები არიან არაინვაზიურ, მსუბუქ სამუშაოზე.

კომპანიას აკრძალული აქვს ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის სამუშაოზე დაშვება.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია დირექტორი, რომელიც ამავდროულად უფლებამოსილია კომპანიის მართვაზე.

სამომავლო გეგმები

კომპანია „პალატი“-ს სამომავლო გეგმები საკმაოდ ამბიციურია, ვინაიდან მიმდინარე წლის ბოლომდე იგეგმება წარმოების მოცულობის მკვეთრად ზრდა. ამ გეგმის სარეალიზაციოდ ფართოდება წარმოების ტერიტორია, ხდება შეიარაღება ახალი მანქანა-დანადგარებით.

კომპანია „პალატი“-ს სამომავლო გეგმები უკავშირდება პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრის გაფართოვებას. გაყიდვების ჯგუფი აქტიურად მუშაობს ახალი მომხმარებლების მოძიებაზე. ჩვენი მიზანია გავაფართოვოთ როგორც მომხმარებელთა არეალი, ასევე იმ ქვეყანათა ჩამონათვლის გაზრდა, სადაც ვახორციელებთ ჩვენი პროდუქციის ექსპორტს.

რისკ ფაქტორები

ტენდენციების ანალიზი

ტენდენციების ანალიზისათვის შპს „პალატი 2022“ იყენებს საკუთარ გამოცდილებასა და სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე მუდმივად თვალს ადევნებს მსოფლიოში არსებულ ტენდენციებსა და ახალ მიმართულებებს. ასევე რეგულარულად ხდება პოტენციური პარტნიორების მოძიება და მათთან კონტაქტის დამყარება.

მსოფლიო ფასების ცვალებადობით შესაძლოა ზიანის თავიდან არიდების მიზნით, ნედლეულის შესაბამისი პარტიის შეძენისას, კომპანიის მენეჯმენტი პარალელურად მუშაობს ნედლეულით მისაღები პროდუქციის გაყიდვის კონტრაქტების გაფორმებაზე მინიმუმ იმ ოდენობით, რაც გადაფარავს ნედლეულების შესაბამისი პარტიის და მისი გადამუშავების ღირებულებას. აღნიშნული მიდგომის შედეგად, მინიმალიზებულია, პროდუქციაზე ფასების მნიშვნელოვანი შემცირების პირობებშიც ზარალის მიღება.

სავალუტო რისკი

ლარის კურსის ცვლილება არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე რადგან პროდუქციის თითქმის 100% გადის ექსპორტზე და შესაბამისად კომპანიის შემოსავალი უცხოურ ვალუტაში აქვს, ამასთან პროდუქციის თვითღირებულების უდიდესი წილი იმპორტირებული ნედლეული შეადგენს. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ისტორიულად ძირითადად უარყოფითი ზრდით ხასიათდება. ამდენად შემოსავლის უცხოურ ვალუტაში არსებობის პირობებში, ეროვნული ვალუტის კურსის უარყოფითი ცვლილება, კომპანიისთვის მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებს არ გამოიწვევს.

ქონებრივი დანაშაულები

ხშირ შემთხვევებში, კრიმინალური მაჩვენებლის ზრდა გავლენას ახდენს კომპანიის ქონების უსაფრთხოების პოტენციალზე, თუმცა ამ მიმართულების პრევენციის მიზნით აქტიურად მუშაობს კომპანიის მონიტორინგის სამსახური, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის თავიდან აცილება ვერ ხდება, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის გზით კომპანია ცდილობს გამოძიების წარმატებით დასრულებას შეუწყოს ხელი.

თაღლითობა

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მრავალფეროვანი ხდება დანაშაულის სახეებიც, ქონებრივი ზიანი შესაძლოა დადგეს თაღლითობის და მომხმარებელთა არაკეთილსინდისიერი ქცევის შედეგად.

მმართველობითი ანგარიშგება გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 10 ივლისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ტარიელ ცუცქირიძე

მთავარი ბუღალტერი

ხათუნა პატარქალაშვილი

შპს „პალატი 2022“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია დირექტორი, რომელიც ამავდროულად უფლებამოსილია კომპანიის მართვაზე.

სამომავლო გეგმები

კომპანია „პალატი“-ს სამომავლო გეგმები საკმაოდ ამბიციურია, ვინაიდან მიმდინარე წლის ბოლომდე იგეგმება წარმოების მოცულობის მკვეთრად ზრდა. ამ გეგმის სარეალიზაციოდ ფართოვდება წარმოების ტერიტორია, ხდება შეიარაღება ახალი მანქანა-დანადგარებით.

კომპანია „პალატი“-ს სამომავლო გეგმები უკავშირდება პროდუქციის სარეალიზაციო ბაზრის გაფართოვებას. გაყიდვების ჯგუფი აქტიურად მუშაობს ახალი მომხმარებლების მოძიებაზე. ჩვენი მიზანია გავაფართოვოთ როგორც მომხმარებელთა არეალი, ასევე იმ ქვეყანათა ჩამონათვლის გაზრდა, სადაც ვახორციელებთ ჩვენი პროდუქციის ექსპორტს.

რისკ ფაქტორები

ტენდენციების ანალიზი

ტენდენციების ანალიზისათვის შპს „პალატი 2022“ იყენებს საკუთარ გამოცდილებასა და სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე მუდმივად თვალს ადევნებს მსოფლიოში არსებულ ტენდენციებსა და ახალ მიმართულებებს. ასევე რეგულარულად ხდება პოტენციური პარტნიორების მოძიება და მათთან კონტაქტის დამყარება.

მსოფლიო ფასების ცვალებადობით შესაძლოა ზიანის თავიდან არიდების მიზნით, ნედლეულის შესაბამისი პარტიის შეძენისას, კომპანიის მენეჯმენტი პარალელურად მუშაობს ნედლეულით მისაღები პროდუქციის გაყიდვის კონტრაქტების გაფორმებაზე მინიმუმ იმ ოდენობით, რაც გადაფარავს ნედლეულების შესაბამისი პარტიის და მისი გადამუშავების ღირებულებას. აღნიშნული მიდგომის შედეგად, მინიმალურიზებულია, პროდუქციაზე ფასების მნიშვნელოვანი შემცირების პირობებშიც ზარალის მიღება.

სავალუტო რისკი

ლარის კურსის ცვლილება არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე რადგან პროდუქციის თითქმის 100% გადის ექსპორტზე და შესაბამისად კომპანიის შემოსავალი უცხოურ ვალუტაში აქვს, ამასთან პროდუქციის თვითღირებულების უდიდესი წილი იმპორტირებული ნედლეული შეადგენს. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ისტორიულად ძირითადად უარყოფითი ზრდით ხასიათდება. ამდენად შემოსავლის უცხოურ ვალუტაში არსებობის პირობებში, ეროვნული ვალუტის კურსის უარყოფითი ცვლილება, კომპანიისთვის მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებს არ გამოიწვევს.

ქონებრივი დანაშაულები


ხშირ შემთხვევებში, კრიმინალური მაჩვენებლის ზრდა გავლენას ახდენს კომპანიის ქონების უსაფრთხოების პოტენციალზე, თუმცა ამ მიმართულების პრევენციის მიზნით აქტიურად მუშაობს კომპანიის მონიტორინგის სამსახური, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის თავიდან აცილება ვერ ხდება, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის გზით კომპანია ცდილობს გამოძიების წარმატებით დასრულებას შეუწყოს ხელი.

თაღლითობა

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მრავალფეროვანი ხდება დანაშაულის სახეებიც, ქონებრივი ზიანი შესაძლოა დადგეს თაღლითობის და მომხმარებელთა არაკეთილსინდისიერი ქცევის შედეგად.

მმართველობითი ანგარიშგება გამოშვებულია დასამტკიცებლად 2025 წლის 10 ივლისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი



ტარიელ ცუცქერიძე

მთავარი ბუღალტერი



ხათუნა პატარქალაშვილი